

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი 1984 წლის № 12, მუხლი 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 105⁴ მუხლი:

„მუხლი 105⁴. ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და ვადაგასული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეალიზაცია ან ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების შენახვის წესების დარღვევა

1. ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეალიზაცია ან ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების შენახვის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ქმედებები, ნადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასი ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.“

2. კოდექსის 208-ე მუხლი ნამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42¹-42² მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე-44³, 44⁵, 45-ე-56-ე, 57-ე-69-ე, 71-ე-86-ე, 88-ე

91², 92², 94-ე-100², 103-ე-105¹, 105⁴, 125¹, 128¹, 128², 143-ე-144¹, 144³-144⁵, 145-ე, 146-ე, 146¹, 147¹, 148-ე-154², 155¹-156-ე, 157¹-158¹, 159-ე-159⁹, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165¹-165³, 166-ე, 167-ე, 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171¹, 173¹⁰, 173¹¹, 174⁵, 174⁸-174¹⁴, 177⁸-178-ე, 179¹-183-ე, 187-ე-187², 189-ე, 191-ე მუხლებით (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 1¹ ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196²-196⁶, 197¹ მუხლებით.“

3. კოდექსის 239-ე მუხლის 49-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„49. ამ კოდექსის 102-ე, 105-ე და 105⁴ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, შესაბამისი სამსახურების საამისოდ უფლებამოსილი მოხელეები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი